



ბალდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 04

13 აპრილი 2021 წელი

ქ. ბალდათი

11:30 საათი

2021 წლის 13 აპრილს გაიმართა ბალდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდა: შალვა მშვილდაძე ნოდარ გიორგიძე ირინა ტყეშელაშვილი, ფრიდონ მაჩიტაძე, გია სახამბერიძე, ტარიელ ჩაკვეტაძე, თემურ მინაძე, გრიგოლ ტაბეშაძე, მურად ბურჯანაძე სიმონ ჭოლოკავა, შადიმან გორგოძე, მამუკა გორგოძე, მათა კბილაშვილი, დიომიდე კიკნაველიძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, შალვა დათუაძე, გვანცა გრძელიძე, გურამი კიკნაველიძე, რუსუდან გეწაძე, გაბრიელ ლიბრაძე.

საკრებულოს წევრები: სულ 20 წევრი.

არ ესწრებოდა საკრებულოს წევრები: გიორგი რობაქიძე, ზაზა ზივზივაძე, ალექსი ლომინაშვილი, მაკა მესხი, ვლადიმერ წიქორიძე, ირაკლი გოგსაძე, თეონა ფახურიძე, გურამ ჩხეიძე .

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

მარეხი მშვენიერაძე-მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯამრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი.

საკრებულოს აპარატის უფროსი- ნოდარ ებანოიძე.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ირინე აბაიშვილი- საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20 წევრმა, დაესწრო 20 საკრებულოს წევრი.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა შალვა მშვილდაძე - საკრებულოს თავმჯდომარე.

რომელმაც აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის წინადადებით მოწვეული იქნება რიგგარეშე სხდომა. შ. მშვილდაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი

1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს. ლერი გუმბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

2. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსაზღვრული დაფინანსების დასახლებების მიხედვით განაწილების და შერჩეული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხს. კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:
დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.

მომხრე - 20 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ლერი გუმბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ცვლილება ითვალისწინებს საქართველოს წითელ ჯვარის საზოგადოებასთან გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად თანადაფინანსებისათვის თანხის გამოყოფას, როგორც მან განმარტა საკითხი ეხება **ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის და/ან ახალგაზრდული სამსახურის მიზნობრივი პროგრამის განხორციელებას**. თანადაფინანსების თანხა 15.0 ათასი ლარი.

აზრი გამოთქვა: შალვა დათუაძემ, მარეხი მშვენიერაძემ, მურადი ბურჯანაძემ, შალვა მშვილდაძემ.

შალვა დათუაძე-საკრებულოს წევრი „ევროპული საქართველო-ბაქრაძე უგულავა, მან გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული თანხა, ხომ არ იქნებოდა უფრო ეფექტური სოციალურად დაუცველთა დახმარებისათვის, რომ მიემართა მერიას.

როგორც მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსმა მარეხი მშვენიერაძემ განმარტა, პროგრამა არის გრძელვადიანი, მის განხორციელებაში გაცილებით მეტია მეორე მხარის დაფინანსება, ამასთან სამომავლოდ დაგვრჩება გადამზადებული სოციალური მუშაკები.

კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო გურამი კიკნაველიძემ - საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ..

საკრებულოს სხდომა ადგენს:

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 7 13.04.2021წ. (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე- 20 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 20 საკრებულოს წევრი

მ ო ს მ ი ნ ე ს: 2. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსაზღვრული დაფინანსების დასახლებების მიხედვით განაწილების და შერჩეული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსმა, რომელმაც წარმოადგინა საბოლოო ვარიანტი 2021 წელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხა.

აზრი გამოთქევს: გია სახამბერიძემ, სიმონ ჭოლოკავამ, გაბრიელ ღებრაძემ, ნოდარ გიორგიძემ შალვა მშვილდაძემ.

საკრებულოს კომისიის დასკვნა საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა- სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 24 13.04.2021წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-20 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 20 საკრებულოს წევრი

მ ო ს მ ი ნ ე ს : იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია საკრებულოს წევრის კობა მშვილდაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, რომ გაუქმდა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“, რადგან ფრაქციის შემადგელობა სამ წევრზე ნაკლები დარჩა. როგორც გ. გრძელიძემ აღნიშნა, კომისია უახლოეს სხდომაზე განიხილავს კ. მშვილდაძისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე:

შალვა მშვილდაძე